



სამუშაო ვერსია

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი
განვითარების დოკუმენტი
(2020 - 2023)

2019 წელი



**MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK**

 Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

 WITH FUNDING FROM
**AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION**



ცაგერის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის „(UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD 2)“ და „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)“ ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.



სარჩევი

წინასიტყვაობა	3
1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები	4
2. სიტუაციის ანალიზი	5
2.1 ძირითადი სოციალურ ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა	5
2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა	6
2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.....	8
2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა.....	9
2.5 განათლება, კულტურა და სპორტი	10
2.6 გარემოს დაცვა	11
2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა	12
3. SWOT ანალიზი	14
4. განხორციელების მექანიზმი	16
5. მონიტორინგი და შეფასება	20
დანართი.....	22

წინასიტყვაობა

ცაგერის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020 - 2023) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს ცაგერის საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ მთავარ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა პროექტის ფარგლებში შექმნილი „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მეთოდოლოგიით და უზრუნველყო დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის მაღალი ჩართულობა, ქალებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას მრავალფეროვანი აუდიტორიის მონაწილეობა და ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

ცაგერის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ხედვა: მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული საკურორტო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მიზნებია:

მიზანი 1.	ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მისი გასაღების ბაზრების შექმნა მუნიციპალიტეტის შიგნით
ამოცანა 1.1	საწარმოო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება.
ამოცანა 1.2	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პოცესში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება.
ამოცანა 1.3	აგრარული ბაზრების მოწყობა ტურისტულად აქტიურ ადგილებში.
მიზანი 2.	მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციის ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით
ამოცანა 2.1	მუნიციპალიტეტის საგზაო და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
ამოცანა 2.2	სოფლების ელექტროენერჯის სისტემის მოწესრიგება და გაზიფიკაცია.
ამოცანა 2.3	საგანმანათლებლო, სპორტული და სააღმზრდელო ინფრასტრუქტურის შექმნა-რეაბილიტაცია.
ამოცანა 2.4	სამედიცინო დაწესებულებების შექმნა-რეაბილიტაცია.
მიზანი 3.	ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა და ბიზნეს სექტორისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა
ამოცანა 3.1	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა სადრენაჟე არხების რეაბილიტაციითა და ფერმერთა უწყვეტი განათლების სისტემის შექმნის ხელშეწყობით, რათა მოხდეს აუთვისებელი მიწების ათვისების ხელშეწყობა;
ამოცანა 3.2	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, მოწყობა და პოპულარიზაცია;
ამოცანა 3.3	ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1 ძირითადი სოციალურ ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორია მოიცავს 755,4 კვ.კმ-ს, მუნიციპალიტეტის სიმაღლე ზღვის დონიდან საშუალოდ 540 მ-ია. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ცაგერი, რომლის დაშორება დედაქალაქთან 325 კმ-ია. მუნიციპალიტეტში არ არის რკინიგზა. უახლოეს სარკინიგზო სადგურთან (ქ. წყალტუბო) დაშორება შეადგენს 55 კმ-ს. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 19 ტერიტორიული ერთეული, რომელშიც შედის ქ. ცაგერი და 58 სასოფლო ტიპის დასახლება (იხ. დანართი N1). მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა დასახლებას აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 9,1 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 31%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 13%-ია, ხოლო 87% ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2015-2019წწ.) შემცირდა 12%-ით. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (12%) და 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 12,1 კაც/კვ.კმ-ზე.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2015 წლიდან 2018 წლის ბოლომდე შემცირდა 3%-ით და მიაღწია 567 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში შემცირდა 1%-ით (3 096 კაცი).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში არის 81%. 2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 29%-ია და 1%-იანი კლებით ხასიათდება (2015 - 2018წწ.). სექტორულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, თუმცა 2015 წლიდან 2018 წლამდე 12%-იანი კლება შეინიშნება, მუნიციპალიტეტში სხვა განვითარებულ სექტორებშია მშენებლობაც, რომელიც ასევე კლებადი ტენდენციით ხასიათდება (-21%). რაც შეეხება მზარდ მიმართულებებს ასეთი მონაცემები მკვეთრად გამოხატული არ არის.

აღსანიშნავია ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი რესურსები და წიაღისეული, როგორცაა სოფ. დოღურაში მოსაპირკეთებელი ქვა, სოფ. ოყურეში დიაბაზოვის პორფირატი, სოფ. მახურაში ტუფობრექჩის საბადო, ასევე სამშენებლო ინერტული მასალები (ქვა-ღორღი, სამშენებლო კირქვები) და მცირე რაოდენობითაა სპილენძი, თუთია. მუნიციპალიტეტში არსებული მდ. ჯონოული და მდ. ლაჯანური მდიდარია კალმხით. მნიშვნელოვანი კურორტებია: ლაშიჭალას სამკურნალო წყლები, ძულური, ალპანის აბანო, უსახელოს აბანო, მინერალური წყალი სოფ. ადვსიში, ზუბისა და ლამგვერიის მინერალური წყლის აბანოები, ახალჭალის მინერალური წყალი.

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

სოფლის მეურნეობა. ცაგერის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ტრადიციულად დამოკიდებული იყო და არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და განვითარებაზე. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სულ 14,864 ჰა-ს შეადგენს, მათ შორის 7% სათიბია, 70% საძოვრები, 15% სახნავი და 8% მრავალწლიან კულტურებს უკავიათ. მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ძირითადი მაპროფილებელი პროდუქტებია: ყურძენი, ხილი (კურკოვანი და თესლოვანი), თაფლი, ხორცი, რძე, მცირე რაოდენობითაა ბოსტნეული კულტურები - კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, მარცვლეული კულტურები, როგორცაა სიმინდი და ლობიო, რომელთა მოსავლიანობა ხშირად დაბალია კლიმატური პირობების გამო და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზანმიმართული ღონისძიებების არარსებობით.

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მევენახეობას. აქ ვაზის ჯიშთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ცოლიკაური, ოჯალეში, უსახელაური, რისგანაც მზადდება “ტვიში“, „ოჯალეში“, “უსახელაური“. აღნიშნული ჯიშები მხოლოდ ამჟღავნებს მუნიციპალიტეტის მიკროკლიმატურ უნიკალურ თვისებებს. სოფ. დოღურაშში მოქმედებს ყურძნის გადამამუშავებელი მინი საწარმო და სხვადასხვა სოფელში გაიხსნა 24-საოჯახო მარანი. ერთ-ერთი განვითარებული საქმიანობა იყო მეხილეობაც, თუმცა დღესდღეობით მუნიციპალიტეტში ხილის მასიური ბაღები შემცირებულია და თითქმის არ გვხვდება. ხილი გამოხატულია გაზრდილი ნარგავების სახით მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში და ყოფილი საკოლმეურნეო ბაღების ტერიტორიებზე. მიუხედავად ამისა ხილის წარმოებამ 2019 წელს შეადგინა 1755 ტ. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს კაკლის მოსავლიანობამ 50ტ. ხურმის მოსავლიანობა კი 80ტ. შეადგინა.

თითქმის მთელს მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეფუტკრეობა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დაკავდა მოსახლეობა ფუტკრის მოშენებით. მუნიციპალიტეტში წარმოებული თაფლი გამორჩეულია გემური და სამკურნალო თვისებებით, რაც გამოწვეულია ხე-მცენარეებისა და ყვავილოვანი მცენარეების მრავალფეროვნებით.

ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩამოედინება მდინარეები “ჯონოული“ (სიგრძე 20კმ) და “ლაჯანური“ (სიგრძე 29 კმ.), რომლებშიც დიდი რაოდენობით კალმახია. ამ მდინარეების წყალი თავისი შემადგენლობით მიმზიდველია საკალმახე მეურნეობის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტში გაკეთებულია რამდენიმე მცირე ზომის პრიმიტიული საკალმახე მეურნეობა. აღნიშნულ საკალმახე მეურნეობებში გაზრდილი კალმახი ხასიათდება მაღალი გემოვნური თვისებებით და მოთხოვნადია ბაზარზე. დღეის მდგომარეობით ცისარტყელა კალმახის წარმოება 55 ტ-მდეა, ხოლო სხვა სახეობის თევზი (კობრი, სქელშუბლა) 20 ტ-მდე.

სათიბი და საძოვარი მიწის ფართობების სიმრავლე ხელსაყრელ გარემოს ქმნის მეცხოველეობის განვითარებისათვის, თუმცა ამ მიმართულების განვითარებას აფერხებს არასელექციური პირუტყვი და ვეტერინარული მომსახურების დაბალი დონე, გარდა ამისა გამოწვევაა მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავება. რძის პროდუქტების

გადამუშავება უმთავრესად კუსტარულად ხდება და რეალიზდება ქ. ქუთაისის აგრარულ ბაზარში.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების მიუხედავად ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აწყდება რიგ გამოწვევებს, რომელთა მოგვარება შექმნიდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განვითარების მეტ შესაძლებლობას. პრობლემათაგან ერთ-ერთია მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის საჭიროება წლების წინ არ იდგა, თუმცა კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად გაჩნდა საირიგაციო სისტემის შექმნის საჭიროება განსაკუთრებით ბარის ზონაში. მნიშვნელოვანია მიწების რეგისტრაციის საკითხის მოგვარება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბება, ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობა საჭიროა საინფორმაციო ბაზის თუ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში, უფრო მეტიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია, ან ვერ ანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს. მცირე მექანიზაციის საშუალებების დეფიციტის გამო სახნავი ფართობების თითქმის 1/3 დაუმუშავებელია. ასევე არ ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნის ხელშეწყობა.

არსასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. ცაგერის მუნიციპალიტეტში მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ძირითადად იგი შემოიფარგლება ქვის დამუშავებით, ინერტული მასალების მოპოვებით, კვების მრეწველობით. ამასთან, მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი და ჰიდრო რესურსებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ლაჯანურის ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არის 105 მგვტ, ასევე ორბელჰესი, რომელიც ამჟამად უმოქმედოა, სიმძლავრე 2 მგვტ. მიმდინარეობდა და მომავალში უნდა განახლდეს ნამოხვან-ჰესის კასკადის მშენებლობა (სიმძლავრე 100 მგვტ). მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობის დიდი პოტენციალია. დამთავრდა მდ. ჯონოულზე 1,5 მგვტ. სიმძლავრის მცირე ჰესის მშენებლობა. ასევე ორი მცირე ჰესის მშენებლობა პერსპექტივაში გათვალისწინებულია მდ. ლაჯანურზე და ერთი ჰესის მშენებლობა მდ. ცხენის წყალზე.

სხვა არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობებიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში განვითარების პერსპექტივა აქვს ტურიზმს, გასულ წელს მუნიციპალიტეტში შემოსულია 14800 ტურისტი, მათ შორის 4600 არის უცხოელი. ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანახაობაა ხვამლის მთა, რომელიც მიიჩნევა ძველი ისტორიული ანტიკური წყაროებიდან ბერძნული მითიური ლეგენდარული გმირების მოგზაურობის მისტიკურ ადგილად. მნიშვნელოვანი პერსპექტივა აქვს სოფ. დეხვირის „მუზეუმს ღია ცის“ ქვეშ, სადაც აღმოჩენილია ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური მასალები, აღსანიშნავია ცაგერის ისტორიული მუზეუმის ექსპონატთა ისტორიული ღირებულება და მნიშვნელობა. ბალნეოლოგიური კურორტი ლაშიჭალა მდებარეობს ცაგერიდან 20 კმ-ზე მდ. ლაჯანურის ხეობაში ზღვის დონიდან 800-900 მეტრზე. კურორტის პროფილია -

გასტროლოგიური ანოთროლოგიური პერიფერიულ ნერვული სისტემის მკურნალობა. წყაროების დღეღამური დებეტი 20 ათას ლიტრს აღწევს. მას იყენებენ როგორც სასმელად, ისე სააბაზანო პროცედურისათვის. კურორტი ფუნქციონირებს ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში. მუნიციპალიტეტის სხვა საკურორტო ადგილებია ახალქალა „მულური“, ლამგვერია, შუა აღვი, ალპანა, ზუბი, ლაშიქალა, სადაც ფუნქციონირებს 250 კაციანი პანსიონატი და კერძო საოჯახო სასტუმროები. ქ. ცაგერის ცენტრში დასრულდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელია შემუშავებულ იქნას ტურიზმის განვითარებისათვის მუნიციპალური პროგრამები, რომლის ფარგლებში პრიორიტეტულია ტურისტული ბანაკების მოწყობა, საოჯახო სასტუმროების, მარნების, ლეჩხუმის ღვინის, მინერალური წყლების და ბიოლოგიურად სუფთა ხილ-პროდუქტების, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის პოპულარიზაცია, რაც გაზრდიდა ცაგერის მუნიციპალიტეტის ცნობადობას როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ტურისტებისთვის.

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

რეგიონისთვის დამახასიათებელი ბუნებრივ-რელიეფური პირობებიდან გამომდინარე პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის 72 კმ.-იანი გზის მონაკვეთი და ადგილობრივი მნიშვნელობის 512,5 კმ. გზა. რეგიონალური პროექტების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქუჩებს ქ. ცაგერში, მოეწყო ფეხით მოსიარულეთა ბილიკები, ბორდიურები, სანიაღვრე არხები, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სოფლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, ზოგიერთ სოფელში მოეწყო სათანადო წყალგამტარი სანიაღვრე არხები და ცხაურები. მოწესრიგდა სტიქიისაგან დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და დაიგო ბეტონის საფარი. სოფ. ჩხუტელსა და ქულბაქში აშენდა საავტომობილო ხიდები, ამას გარდა სოფ. ჩხუტელში გაკეთდა საფეხმავლო ხიდი. მუნიციპალიტეტის სოფლის თემის ცენტრები ძირითადად უზრუნველყოფილია გარე განათებებით, დასახლებული პუნქტების ნახევარზე მეტი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, რომელიც მარაგდება ციფწყაროს წყალსაქაჩი მეურნეობიდან. მოსაწესრიგებელია სოფლად არსებული წყალსადენის სათავე-ნაგებობები, არსებული 192 წყალსადენიდან სანიტარული რეჟიმის დაცვას მოითხოვს წყალსადენის სათავე-ნაგებობების თითქმის 80%.

ქ. ცაგერი და სოფ. ქვედა ცაგერის ნაწილი მოცულია კანალიზაციის ქსელით, მოეწყო სოფ. ქვედა ცაგერის ჭალის უბნის 80 ოჯახზე კანალიზაციის ქსელი და გამწმენდი ნაგებობა. 37 სოფელი მოცულია ნარჩენების გატანის სერვისით, სადაც განთავსებულია 320 კონტეინერი, მიმდინარეობს ქ. ცაგერის და სოფ. ქვ. ცაგერის ნაწილში ქუჩების დაგვა-დასუფთავება გატანა.

პრობლემურია ელექტროენერჯის მიწოდების საკითხი და ხშირია ავარიული გამორთვები ცალკეულ მიმართულებებზე, რაც გამოწვეულია მოძველებული საყრდენი ბოძებისა და

არსებული სადენების ექსპლოატაციით. გადაუჭრელ პრობლემად რჩება გაზიფიკაციის საკითხი, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წლებია აწუხებს.

ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის პრობლემას წარმოადგენს მდინარე ცხენისწყლისა და ლაჯანურის ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა, რაც გამოწვეულია ლაჯანურჰესის კაშხალის მექანიკური რეგულაციებით, შედეგად მდინარეთა კალაპოტები არსებული ნიშნულიდან 4-5 მეტრით ამაღლდა და საფრთხე ექმნება ქ. ცაგერის, სოფელი ქვედა ცაგერის, ჭალისთავის, ორბელის, ლაჯანის, ლაცორიის მდინარეთა კალაპოტების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოეწყო ტურისტულად მიმზიდველი ადგილები სოფ. ჩხუტელში, სოფ. ღვირიშში, სოფ. ორბელის გადასასვლელზე, სოფელ ჩქუმსა და ოფიტარაში, დამთავრდა და ექსპლუატაციაში გავიდა ხვამლის მთის მიმართულებით 10კმ-იანი ბეტონის გზატკეცილი, მოეწყო გადასახედი ღვირიშის ჩანჩქერზე, ასევე მურის ციხეებთან დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკი და გადასახედი. განვითარების პოტენციალი აქვს საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას. ცაგერში ფუნქციონირებს 3 სკვერი. მოწყობილია ბავშვთა გასართობი ატრაქციონი.

2020 წლისათვის იგეგმება სოფელ გვესოსა და ჩქუმ-ქულბაქის მიმართულებით არსებული ტურისტული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ოყურემის ხიდი - ზედა ოყურემის მიმართულებით ასფალტო-ბეტონის გზის მოწყობა. 2021-2023 წლებში იგეგმება სხვადასხვა ტურისტული პროექტების განხორციელება. დანართი ერთის შესაბამისად.

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა. ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი საავადმყოფო და 19 ამბულატორია, ოთხი კერძო სტომატოლოგიური კლინიკა. მუნიციპალიტეტს ემსახურება ორი სასწრაფო დახმარების ბრიგადა, თუმცა მათი რაოდენობა არ არის საკმარისი, რადგან რთული რელიეფიდან და სოფლების ერთმანეთთან დიდი მანძილით დაშორების გამო დგება დროული გადაადგილების პრობლემა. დეფიციტურია ექიმების რაოდენობაც და დგას კვალიფიციური კადრების არსებობის პრობლემა, განსაკუთრებით - ვიწრო სპეციალობით, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გასვლას ქვეყნის სხვადასხვა კლინიკაში. აქტუალურია სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სოფელში (ცაგერა, ხოჯი, მახურა, სურმუში, მახაში, სედა, ორბელი) არ არის მედდა, რაც მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზია. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის ქრონიკული დაავადებით დაავადებულთათვის სამედიცინო მომსახურება გამწვანებულია, კერძოდ დიალიზზე დამოკიდებული პაციენტებისათვის, რომელთაც უწევთ ქ. ქუთაისში კვირაში 3-ჯერ ჩასვლა, რაც ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ადგილზე დიალიზის ცენტრის შექმნით.

მუნიციპალიტეტისათვის ენდემურ დაავადებას წარმოადგენს ჩიყვი, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში. მიზანშეწონილია წელიწადში ერთხელ მოეწყოს სკოლებსა და

სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებებში პროფილაქტიკური გასინჯვები ჩიყვის პათოლოგიის გამოვლენის მიზნით.

მუნიციპალიტეტი საჭიროებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამუშაო ფართით უზრუნველყოფას. ამჟამად ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის „ცენტრი“ განთავსებულია ყოფილი საავადმყოფოს ავარიულ შენობაში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, არსებობს ყოფილი სან. ეპიდსადგურის შენობა, რომელიც საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას და მასში საზ. ჯანდაცვის ცენტრის განთავსებას.

სოციალური მომსახურება. ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროგრამები, როგორცაა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური კვება, ერთჯერადი ფულადი დახმარება, უსახლკარო მოსახლეობის დახმარება, დიალიზზე დამოკიდებულთა დახმარება, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახების დაფინანსება, ორსულთა დახმარება, შშმ ბავშვთა მატერიალური დახმარება, გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურება, მარტოხელა დედების ფულადი დახმარება, ობოლ ბავშვთა ფულადი დახმარება, ხანდაზმულთა ფულადი დახმარება და ომის ვეტერანთა დახმარება.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით ისარგებლა 3-მა ბენეფიციარმა, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 უმწეოთა სასადილო (ერთი სოფელ ლაჯანაში, რომელიც ემსახურება 38 ბენეფიციარს, ხოლო მეორე ქ. ცაგერში, რომელიც ემსახურება 80 ბენეფიციარს).

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც დადის 267 ბავში და 25 საჯარო სკოლაში ემსახურება 864 მოსწავლეს. აუცილებლობა მოითხოვს აშენდეს ლაილაშის, თაბორის საჯარო სკოლების ახალი შენობები, ჩატარდეს ორბელის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და დანარჩენ სკოლებში განხორციელდეს მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. აშენდეს ტვიშისა და ოყურემის ახალი საბავშვო ბაღები. ჩატარდეს ზუბის, ორბელის, ქულბაქისა და სხვა ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კულტურისა და სპორტის სერვისები. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი მწვანე თეატრით, გრიშა მდივნის სახელობის სახალხო თეატრი და 26 სასოფლო კლუბი. ლადო ასათიანის, არჩილ გელოვანის, სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმები და სურათების გალერეა, დეხვირის არქეოლოგიური ეთნოგრაფიული მუზეუმი. ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებობს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები. კულტურის ცენტრი საჭიროებს სრული რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებას. სარემონტო სამუშაოები არის ჩასატარებელი არჩილ გელოვანის და სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმებში. მოსაწყობია ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლობის ოფისი.

ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ცაგერის სტადიონი, ლაჯანის საფეხბურთო მინდორი, ქვედა ცაგერის, ორბელის, ჩხუტელის, ზუბის, ჭალისთავის, სურმუმის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები. ასევე ქ. ცაგერში დავით აღმაშენებლის და თავისუფლების ქუჩაზე და ზოგიერთ სოფელში მარტივი ტიპის მოედნები. სრულ რეაბილიტაციას მოითხოვს ქ. ცაგერის სტადიონი, აღსადგენია ხელოვნური საფარი ლაჯანის და ორბელის სტადიონებზე, ასევე სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს ქ. ცაგერში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე სპორტული მოედანი. განათებებია მოსაწყობი ქვედა ცაგერის და ჩხუტელის ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედნებზე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სპორტული დაწესებულებები.

2.6 გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უჭირავს ტყეებს (47,000 ჰა). ადმინისტრაციულ ერთეულში არის სამრეწველო დანიშნულების, სუბალპური და ჭალისპირა ტყეები, თუმცა არ არის ინფორმაცია თითოეული კატეგორიის ტყის ფართობების შესახებ. პირადი დაკვირვებების საფუძველზე, ნათელია, რომ მუნიციპალიტეტში ხდება ტყის ჭრა, თუმცა ინფორმაცია ტყის ჭრის წლიური ლიმიტის შესახებ არარსებობს. მუნიციპალიტეტში აუცილებელია ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება. ტყეების დეგრადაციის გამომწვევ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ტყის ხანძრები, რომელიც წელიწადში ხდება 1 ან 2-ჯერ.

მუნიციპალიტეტში ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსები ზომიერია თუმცა ზეგავლენას მაინც ახდენს რელიეფზე, რომელიც ძლიერ დანაწევრებულია მდ. ლაჯანურის, მდ. რიონისა და მდ. ცხენისწყალის, მდ. ჯონოულის, მდ. რაჩხის შენაკადების მიერ, რაც ქმნის პირობებს ღვარცოფებისა და მეწყრული მოვლენების ჩამოყალიბებისთვის. სტიქიური მოვლენების (წყალმოვარდნა, მეწყერი და ღვარცოფი) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდამ გააძლიერა მიწის ეროზია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინფრასტრუქტურის დაზიანება და განაპირობა მოსახლეობის მიგრაცია. სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარება-რეაქტივაციისას მოსალოდნელი საშიშროებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვისათვის, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მოწყვლად ფერდობებზე სარეაბილიტაციო და საადაპტაციო ღონისძიებების გატარება და საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

მუნიციპალიტეტის ტყეები მდიდარია სხვადასხვა სახის ცხოველებით და ფრინველებით. აქ ბინადრობს კავკასიური მურა დათვი, მგელი, მელა, არჩვი, შველი, ფოცხვერი, ტურა, მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო, რაიონი წარმოადგენს გადამფრენი ფრინველების ტრასის ერთ ნაწილს, და აქ სეზონურად შეიძლება შეხვდეთ კავკასიურ წეროს, გედს, გადამფრენ ტყის ქათამს, არის შემთხვევები კაკბების გუნდის შემოფრენისა, მრავლად გვხვდება გარეული ბატი, იხვი, მწყერი, გვრიტი. გადაშენების საფრთხის ქვეშაა კავკასიური მურა დათვი, ფოცხვერი.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს აა(ი)პ „კომუნალური მომსახურება“, რომელიც ემსახურება მოსახლეობის 35%, მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი ნაგავსაყრელი მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. ერთ სულ

მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 1.37 მ³, ხოლო შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 1,985მ³. მუნიციპალიტეტში მხოლოდ ცაგერს აქვს კანალიზაციის კოლექტორი, თუმცა არარსებობს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა.

მუნიციპალიტეტში მუშაობს 70% კონტეინერული სისტემა და 2 სპეც. ავტომანქანა - ერთი კომპაქტორი და ერთი თვითმცლელი. თუმცა არ არის სპეც. ავტომეურნეობების სამრეცხაო.

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ცაგერის მუნიციპალიტეტი საკმარისადაა მოცული სახელმწიფო სერვისების მომსახურებით. მოსახლეობას ემსახურება საჯარო და სამოქალაქო რეესტრი, სსიპ-„112“, მოსახლეობის ფართო მომსახურების მიზნით სოფ. ლაჯანაში გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც მრავალრიცხოვან სერვისს სთავაზობს ლაჯანის ხეობის მოსახლეობას. ასევე მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, სსიპ „მექანიზატორი“, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“.

ცაგერის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერი. მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა მათი საჭიროებიდან გამომდინარე მიმართონ თითოეულ მათგანს წერილობითი და პირისპირ შეხვედრის ფორმით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 7228,5 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც თითქმის 95% არის საკუთარი შემოსავლები, თუმცა წლის განმავლობაში მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მცირე რაოდენობით დაფინანსების დამატებით გამოყოფა. 2019 წელთან მიმართებაში საკუთარი შემოსავლების შემცირება მოსალოდნელია დაახლოებით 15%-ით და 2020 წელს საპროგნოზოდ 6853,5 ათას ლარს შეადგენს.

2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 7 228 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის დაახლოებით 19% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე სრულად მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტის მხოლოდ 1%, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით - 19%, განათლების ხელშეწყობის მხრივ - 12%, კულტურის, რელიგიური, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის - 6,5%.

3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები მრავალფეროვანი და ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად; • საკურორტო ადგილები, კურორტ ლაშიჭალას მაღალი ცნობადობა; • მინერალური წყლები • სასმელი წყლის რესურსები • ვაზის უნიკალური ენდემური ჯიშები და ღვინოების - „უსახელაური“, „ტვიში“, ორბელური „ოჯალეში“ - საერთაშორისო ცნობადობა. • სათიბ-სამოვრების დიდი რესურსი; • საკალმახე წარმოების დიდი რესურსი; • სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარების პოტენციალი; • მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებთან გზების მნიშვნელოვანი ნაწილის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • მუნიციპალური ცენტრისა და წყალმომარაგების ცენტრალური სისტემის უზრუნველყოფა; • ელექტროენერჯის მიწოდების სისტემით მოსახლეობის უზრუნველყოფა • თანამედროვე დონის ისტორიული მუზეუმი; • კულტურული ინფრასტრუქტურის არსებობა მუნიციპალიტეტში; • ტყის რესურსი; • სხვადასხვა სასარგებლო წიარისეულის დიდი მარაგი. 	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში არსებული საინვენსტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი • ბიზნეს გამოცდილებისა და ცოდნის დაბალი დონე • ტურისტული მომსახურების დაბალი დონე • სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა და საქონლის დაბალ პროდუქტიულობა • დაბალი წვდომა რეალიზაციის ბაზრებზე • სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სასაწყობო მეუნეობის არ არსებობა; • ქუთაისი-ალპანა სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (მათ შორის შიდა სასოფლო გზების) არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულის ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებების სიმცირე • სოფლებისა და დასახლებების რიგ ნაწილში გარე განათებების არ არსებობა • სასმელი წყლით სოფლის მოსახლეობის არასრული უზრუნველყოფა და ხარისხის სტანდარტებთან სასმელი წყლის შეუსაბამობა • ზამთრის პირობებში სოფლის მოსახლეობის ელექტროენერჯით მომარაგების მდგომარეობაში არსებული შეფერხებები • საკურორტო ადგილებსა და სოფლებში ნარჩენების გატანის პრაქტიკის არარსებობა • ლიცენზირებული ნაგავსაყრელების არ არსებობა • პროფესიული სასწავლებლების არარსებობა • სამედიცინო კადრების ნაკლებობა (ვიწრო სპეციალისტების ექიმების დეფიციტი) • კვალიფიციურ პედაგოგთა დეფიციტი; • საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობების არარსებობა
<p style="text-align: center;">შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> • რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა; 	<p style="text-align: center;">საფრთხეები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი კატასტროფები • საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი

<ul style="list-style-type: none">• ტურისტული ნაკადების ზრდა, ეკოტურიზმზე, სასოფლო და აგროტურიზმზე მოთხოვნის ზრდა;• მცირე ბიზნესის და აგროსესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები;• დაბალი ზონის სოფლებში სამელიორაციო და საირიგაციო სისტემის შექმნა;• გადამამუშავებელი საწარმოების და ფერმერთა კოოპერირების პროცესების სტიმულირება;• მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;• ელექტროენერჯის მიწოდებაში არსებული პრობლემების დაძლევა;• არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა;• უახლოეს პერსპექტივაში მუნიციპალიტეტის გაზიფიკაციის პრობლემის მოგვარების წინა პირობების შექმნა;• მუნიციპალიტეტის დონეზე მაღალი ტექნოლოგიების წყლის და ჰაერის ლაბორატორიების შექმნა, წყლისა და ჰაერის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი;• განათლების სისტემის ადაპტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;• პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;• ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა;• ცალკეული სახის სტიქიურ მოვლენებზე პრევენციული ზომების გატარება;• მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, კალაპოტის გაწმენდა და ახალი სავარგულების ათვისება ბარის ზონაში.	<ul style="list-style-type: none">• არსებული ტურისტული ობიექტების მდგომარეობის შეუსაბამობა სტანდარტებთან;• ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების პროცესების გააქტიურება• ტერიტორიის დაბინძურების მაღალი დონე.
---	--

4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

პარტნიორობა - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

კანონიერების პრინციპი - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს.

შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე, და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

2020-2023 წლის სამოქმედო გეგმა

მიზანი 1:		ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა და ბიზნეს სექტორისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა		მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:								
ამოცანა 1.1:		ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, მოწყობა და პოპულარიზაცია										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:		გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურა, შემუშავებული ტურისტული მარშრუტები		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო					
			წელი	2020	შუალედური	საბოლოო						
			მაჩვენებელი			2022	2023					
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [€]	დაფინანსების წყარო				
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა		დეფიციტი	
								ოდენობა [€]	კოდი	ოდენობა [€]	ორგანიზაცია	
1.1.1	სოფ. ჩქუმ-ქულბაქის რეაბილიტაცია	რეაბილიტაცია ჩაუტარდება ჩქუმ-ქულბაქის გზის 6 კმ-იან მონაკვეთს, ნამარნევის ეკლესიამდე მოეწყოს ბეტონის საფარიანი გზა		საავტომობილო გზების დეპარტამენტი		03.2020.12.2021	3071970 ლარი	0		0		

მიზანი 1:		ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა და ბიზნეს სექტორისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:						
ამოცანა 1.2:		ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, მოწყობა და პოპულარიზაცია									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:		გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურა, შემუშავებული ტურისტული მარშრუტები		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო				
			წელი	2020	შუალედური	საბოლოო					
			მაჩვენებელი			2022	2023				
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო			
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა		დეფიციტი	
							ოდენობა [ლ]	კოდი	ორგანიზაცია		
1.1.1	ქ.ცაგერი-გვესოს მიმართულებით დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	მოეწეოს რკინა-ბეტონის გზა,1,7კმ-ზე		საავტომობილო გზების დეპარტამენტი		03.2020.12.2020	1 435 179 ლარი	0		0	

მიზანი 1:		ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა და ბიზნეს სექტორისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:						
ამოცანა 1.2:		ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, მოწყობა და პოპულარიზაცია									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:		გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურა, შემუშავებული ტურისტული მარშრუტები		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო				
	წელი		2020	შუალედური	საბოლოო						
	მაჩვენებელი				2022	2023					
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო			
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა		დეფიციტი
								ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია
1.1.1	ქ.ცაგერში დასასვენებელი სკვერის მოწყობა	ქ.ცაგერში ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება		ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების ფონდი	01.05.2020 01.08.2020	95079 ლარი	4754 ლარი	02.05.01	90325 ლარი	რეგიონალური განვითარების ფონდი

მიზანი 1:		ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა და ბიზნეს სექტორისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:						
ამოცანა 1.2:		ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, მოწყობა და პოპულარიზაცია									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:		გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურა, შემუშავებული ტურისტული მარშრუტები		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო				
			წელი	2020	შუალედური	საბოლოო					
			მაჩვენებელი			2022	2023				
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო			
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა		დეფიციტი
								ოდენობა [ლ]	კოდი	ოდენობა [ლ]	ორგანიზაცია
1.1.1	სოფელ საირმეში ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების,სოფ.ისუნდერის ციხესთან მისასასვლელი ბილიკების,ტურისტულ სანახებთან კიბეების მოწყობა.	ქ.ცაგერში ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება		ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია	რეგიონალური განვითარების ფონდი	01.05.2020-25.12.2020	617153ლარი	30858ლარი	02.05.01	586295ლარი	რეგიონალური განვითარების ფონდი

ცხრილის გაგრძელება იხილეთ

დანართის სახით.

5. მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით. შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიანი პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

დანართი

დანართი N 1.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

- ადმინისტრაციული ერთეული ლაილაში: სოფ. ლაილაში, სოფ. თაბორი, სოფ. სურმუში, სოფ. ღუ;
- ადმინისტრაციული ერთეული ღვირიში: სოფ. ზედა ღვირიში, სოფ. ქვ. ღვირიში, სოფ. უცხერი, სოფ. ნასპერი, სოფ. სანორჩი;
- ადმინისტრაციული ერთეული ნაკურალეში: სოფელი ნაკურალეში, სოფ. ცხუკუმერი;
- ადმინისტრაციული ერთეული უსახელო: სოფელი უსახელო, სოფელი ხოჯი;
- ადმინისტრაციული ერთეული ორბელი: სოფელი ორბელი, სოფ. კურცობი, სოფ. ლაჯანა, სოფ. გაგულეჩი, სოფ. წილამიერი;
- ადმინისტრაციული ერთეული სპათაგორი: სოფელი სპათაგორი, სოფ. ლეშკედა, სოფ. ქ. ცაგერი;
- ადმინისტრაციული ერთეული ტვიში: სოფ. ტვიში, სოფ. ლახეფა, სოფ. ქორენიში, სოფ. ორხვი;
- ადმინისტრაციული ერთეული ალპანა: სოფ. ალპანა, სოფ. ზოგიში. სოფ. ცაგერა, სოფ. აჭარა;
- ლაცორია;
- ადმინისტრაციული ერთეული საირმე: სოფელი ზედა საირმე, ქედა საირმე;
- ადმინისტრაციული ერთეული ჩხუტელი: სოფელი ჩხუტელი, სოფელი ლასხანა, სოფელი დოღურეში;
- ადმინისტრაციული ერთეული ქვ. ცაგერი: სოფელი ქვ. ცაგერი, სოფელი ჭალისთავი, სოფელი გვესო;
- ადმინისტრაციული ერთეული ლასურიაში: სოფელი ლასურიაში, სოფელი მახაში, სოფელი დეხვირი, სოფელი ლესინდი;
- ადმინისტრაციული ერთეული აღვი: სოფელი ზედა აღვი, ქვ. აღვი, სოფელი შუა აღვი, სოფელი კენაში
- ადმინისტრაციული ერთეული ოყურეში: სოფელი ოყურეში, სოფელი ოფიტარა;
- ადმინისტრაციული ერთეული ზუბი: სოფელი ზუბი, სოფელი მახურა, სოფელი ისუნდერი.
- ადმინისტრაციული ერთეული წიფერჩი: სოფელი წიფერჩი, სოფელი ბარდნალა, სოფელი ლარჩვალი;

- ადმინისტრაციული ერთეული ჩქუმი: სოფელი ჩქუმი, სოფელი ქულბაქი;
- ადმინისტრაციული ერთეული ლუხვანო: სოფელი ზედა ლუხვანო, სოფელი ქვ. ლუხვანო, სოფელი ზარაგულა;